განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგრარული მეცნიერებანი

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
18.01.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი
08.02.2019

თბილისი 2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ა(ა)იპ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211325653
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრარული მეცნიერებანი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	1. აგრარული მეცნიერების მაგისტრი აგრონომიაში 0101 2. აგრარული მეცნიერების მაგისტრი სასურსათო ტექნოლოგიაში 0104 3. აგრარული მეცნიერების მაგისტრი სატყეო საქმეში 0105
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული გადაწყვეტილება #140, 03.07.2012

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა კევლიშვილი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ მაჭავარიანი, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დეკანოიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი არის არასახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნასა (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამას „აგრარული მეცნიერებანი" აკრედიტაცია მიენიჭა 2012 წლის 3 ივლისს N140-ე გადაწყვეტილებით და 2013 წელს განხორციელდა პირველი მიღება.

სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისას შესწავლილი და გათვალისწინებული იქნა არაერთი საერთაშორისო უნივერსიტეტის გამოცდილება, მათ შორის: University of Georgia, University of the West of England, Aristotele University of Thessaloniki.

პროგრამის მიზანს წარმოადგენს მომზადდეს მაღალკვალიფიციური აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი, რომელსაც ექნება აგრარული მიმართულების და შესაბამისი დარგის (აგრონიმიის, სატყეო საქმის, სასურსათო ტექნოლოგიის) ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც კურსდამთავრებულს მისცემს ახალი და ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას. მას შეეძლება კვლევების დამოუკიდებლად წარმართვა უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. ასევე, შეეძლება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობა და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელება.

პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტს შესაძლებელია 3 ქვევით ჩამოთვლილი კვალიფიკაციიდან მიენიჭოს ერთ-ერთი:

1. აგრარული მეცნიერების მაგისტრი აგრონომიაში
2. აგრარული მეცნიერების მაგისტრი სასურსათო ტექნოლოგიაში
3. აგრარული მეცნიერების მაგისტრი სატყეო საქმეში.

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- აგრარულ მეცნიერებათა საერთო მოდელი (26 კრედიტი)
- სპეციალობის სავალდებულო განათლება (45 კრედიტი)
- პრაქტიკული განათლება (8კრედიტი)
- თავისუფალი არჩევითი საგნები (6 კრედიტი)
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა (35 კრედიტი)

აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო ნაშრომი უნდა ასახავდეს კურსდამთავრებულის უნარს სპეციალიზაციის სფეროში დამოუკიდებლად ჩაატაროს სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები მაღალ დონეზე. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 106 აქტიური სტუდენტია, მათგან უფრო მეტი მოთხოვნილება სასურსათო ტექნოლოგიის მოდულზეა და მათი რიცხვი 66-ია, აგრონომიის მოდულზე სტუდენტთა რიცხვი 30-ია, ხოლო სატყეო საქმის მოდულზე კი 10 სტუდენტია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 18 იანვარს. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პედაგოგებს, დამსაქმებლებს ადმინისტრაციულ პერსონალს, სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, ვიზიტის დროს დავათვალიერეთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. განხილულ იქნა პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები. ჩატარდა ინტერვიუები, რომლის შედეგადაც ნათელი გახდა ყველა ის საკითხი, რომელიც ექსპერტებისთვის ბუნდოვანი იყო. აღინიშნა საუკეთესო პრაქტიკა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული მეცნიერებანი" მთლიანობაში იმსახურებს მოწონებას. იგი სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოიკვეთა პროგრამის დადებითი მხარეები, პროგრამას უარყოფითი მხარე პრაქტიკულად არ აქვს, შედეგზე სრულად გადის და იმსახურებს დადებით შეფასებას.

- **რეკომენდაციები**

არ არის

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია სასწავლო კურსში სატყეო პოლიტიკა და კანონმდებლობა სამომავლოდ გათვალისწინებული იყოს ტყის რეპროდუქციული მასალების საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკა OECD-ის სქემის მიხედვით.

სატყეო საქმის და აგრონომიის მოდულში წარმოდგენილ სასწავლო კურსებში- არამერქნითი რესურსები, ტყის დაცვა მავნებელ-დაავადებებისაგან და მცენარეთა დაცვის ლაბორატორიული მეთოდი - მოძველებული ლიტერატურა შეიცვალოს ახალი ლიტერატურით, რომელიც დამხმარე ლიტერატურადაა მითითებული.

სასურველია ზოგიერთი სასწავლო კურსის შეფასებაში თითოეული რუბრიკების ბიჯი იყოს შემცირებული, რათა უფრო გასაგები და გამჭვირვალე იყოს შეფასება თითოეული სტუდენტისათვის.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

შიდა საუნივერსიტეტო გასაუბრება არის საუკეთესო პრაქტიკა აბიტურიენტთა მაგისტრატურის პროგრამაზე ჩარიცხვისათვის, ინტერვიუ დგება კომისიის წინაშე, რომლის წევრებიც არიან დარგის პროფესორები. ინტერვიუს დროს აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს თავისი ხედვა თითოეული მოდულისათვის, ამავე დროს უნდა წარმოადგინოს კვლევის ის თემატიკა, რომელზეც იმუშავებს სწავლის პერიოდში. ამ დროს იკვეთება რამდენად მოტივირებულია ან მიზანმიართულია თითოეული აბიტურიენტი პროგრამაზე სწავლისთვის.

პროგრამის კურიკულუმის არჩევით ბლოკში შემდეგი სასწავლო კურსების შეტანა: სატყეო საქმის ინტეგრირებული კურსი, რომელიც კურიკულუმის სატყეო საქმის მოდულშია

შეტანილი და განკუთვნილია იმ სტუდენტებისათვის, ვისაც არ აქვს დასრულებული სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამა, აგრონომიის ინტეგრირებული კურსი კი შეტანილია აგრონომიის მოდულში და გაკუთვნილია იმ სტუდენტებისათვის, ვისაც არ აქვს აგრონომიის საბაკალავრო პროგრამა დასრულებული, ხოლო ნებისმიერი საგანი სხვა პროგრამიდან წარმოადგენს სასურსათო ტექნოლოგიის მოდულის არჩევით სასწავლო კურსს და ის სტუდენტები ირჩევენ , ვისაც არ აქვს საბაკალავრო პროგრამა, სასურსათო ტექნოლოგია, დასრულებული.

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტაციის მიღების შემდეგ პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ: 2012 წელს მიღებული აკრედიტაციის მიხედვით, პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იყო 5 სპეციალობით კვალიფიკაციის მინიჭება. კანონმდებლობის ცვლილებების შესაბამისად, პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები და ამჟამად, შესაძლებელია მხოლოდ 3 სპეციალობით კვალიფიკაციის მინიჭება.

აკრედიტაციის შემდეგ პროგრამა განახლდა და დაემატა შემდეგი სასწავლო კურსები: ნიადაგის ნაყოფიერების მართვა, მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა, მცენარეთა საკარანტინო მავნებლების მართვა, კვება და საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სატყეო პოლიტიკა და კანონმდებლობა, სატყეო საქმის ინტეგრირებული კურსი, ინტროდუცირებულ მერქნიან მცენარეთა დენდროლოგია, ტყეების მონიტორინგი და ექსპერტიზა, ტყის ინვერტარიზაცია და მონაცემთა ანალიზი, ტყის დაცვა მავნებელ-დაავადებებისგან, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გადამუშავების ტექნოლოგია, კვების წარმოების ორგანიზება, ცხოველური წარმოშობის ნედლეულისა და პროდუქციის დამუშავება და შეფასება, კვების პროდუქტების ხარიხის კონტროლის მიკრობიოლოგიური მეთოდები.

აღნიშნული ცვლილებების შესახებ დეტალურად ეცნობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშების მეშვეობით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა ,,აგრარული მეცნიერებანი“ სრულ შესაბამისობაშია სტანდარტებთან და მისი მიზანია მომზადდეს მაღალკვალიფიციური აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი, რომელსაც ექნება აგრარული მიმართულების და შესაბამისი დარგის (აგრონიმიის, სატყეო საქმის, სასურსათო ტექნოლოგიის) ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც კურსდამთავრებულს მისცემს ახალი და ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას. მას შეეძლება კვლევების დამოუკიდებლად წარმართვა უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. ასევე, შეეძლება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობა და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელება.

პროგრამა შედგება სამი მოდულისაგან და წარმოდგენილი სამი კვალიფიკაციიდან ანიჭებს ერთ-ერთს. პროგრამაში გაწერილია თითოეული მოდულის მიზანი და შედეგი, კერძოდ:

აგრონომიის სპეციალობით პროგრამის მიზანია:

მოამზადოს მაგისტრი, რომელსაც ექნება აგრონომიის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა; შეეძლება ნიადაგის ნაყოფიერების მართვა და მცენარის კვება; ეცოდინება მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის ინტეგრირებული მეთოდები; ეცოდინება აგროეკოსისტემები და მისი ძირითადი მიმართულებები, აგრობიოტექნოლოგიის მიღწევები და მათი გამოყენების შესაძლებლობები, მეცნიერულ მიდგომებზე დაფუძნებული თესლისა და სარგავი მასალის წარმოება-სერთიფიცირების თანამედროვე მეთოდები და ხერხები.

სასურსათო ტექნოლოგიის სპეციალობით პროგრამის მიზანია:

მოამზადოს მაგისტრი, რომელსაც ექნება სასურსათო ტექნოლოგიის სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნა; ეცოდინება სასურსათო პროდუქტებში შემავალი სხვადასხვა კომპონენტის ფიზიკურ–ქიმიურ თვისებები და ამ ნაერთების მნიშვნელობა ადამიანის ორგანიზმებისათვის, მათი განსაზღვრისა და იდენტიფიცირების მეთოდები; სასურსათო პროდუქტების მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების მნიშვნელობა. მაგისტრები საფუძვლიანად დაეუფლებიან სურსათის შენახვის მეთოდებს, შენახვის დროს პროდუქტში მიმდინარე ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ, მიკრობიოლოგიურ და ფიზიკურ პროცესებს, ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრისა და მასზე მოქმედი ფაქტორების მართვის შესაძლებლობებს.

სატყეო საქმის სპეციალობებით პროგრამის მიზანია:

მოამზადოს მაგისტრი, რომელსაც ექნება სატყეო სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა; ეცოდინება ტყის მოვლა-დაცვის, აღდგენა-განახლების და ტყითსარგებლობის პრინციპები; შეეძლება ტყის რესურსების მდგრადი მართვის, რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და კვლავწარმოებისთვის ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავება და ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერება.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, სამაგისტრო პროგრამაში მნიშვნელოვანი

ყურადღება აქვს მიქცეული თეორიული და პრაქტიკული სწავლების სწორ დაგეგმვას და განხორციელებას. აღნიშნული გულისხმობს საგნის თეორიული შესწავლის პარალელურად მის პრაქტიკაში რეალიზებას. სტუდენტები ჩაბმულნი არიან ინტერაქტიულ სწავლებაში და საკუთარ ცოდნას იყენებენ სხვადასხვა პრაქტიკული დავალების შესასრულებლად. აღნიშნული ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული (საწარმოო და სამეცნიერო-კვლევითი) უნარ-ჩვევების გამომუშავებას და მათ მიერ პროგრამით გათვალისწინებული საგნების სიღრმისეულ შესწავლას, რაც თავის მხრივ შესაძლებელს ხდის შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისა. გარდა ამისა, პროგრამა კურსდამთავრებულებს აძლევს საკმარის ბაზას დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად და შესაძლო სამეცნიერო კარიერის განსავითარებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

აგრარული მეცნიერებანი საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მისია;
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა;
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვებგვერდი;
დამსაქმებელთან, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები პროგრამის სამივე მოდულის ფარგლებში, ეს კომპეტენციებია: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებულია ორი ძირითადი მიდგომა: პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდები. არაპირდაპირი გაზომვის მეთოდი გულისხმობს უკუკავშირის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებას: სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას და ამ შედეგების ანალიზის გზით პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების გაზომვის და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებას. კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში პირდაპირი გაზომვა ხდება სტუდენტის ინდივიდუალური ნამუშევრით, პრეზენტაციით, ლაბორატორიული თუ სხვა სახის აქტივობების შემოწმებით.

პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამაში შემუშავებულია სასწავლო კომპონენტები/საგნები. ყოველი საგნის სილაბუსში გაწერიალია სწავლის შედეგები, ყოველი სწავლის შედეგისთვის კი შერჩეულია შესაბამისი შეფასების მეთოდი. შერჩეული შეფასების მეთოდი გულისხმობს ცოდნის შემოწმების ისეთი ტექნიკის გამოყენებას, რომელიც რელევანტური და ადეკვატურია კონკრეტული სწავლის შედეგის მისაღწევად სასწავლო კურსში, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია საგანმანათლებლო პროგრამაში დასახული კომპეტენციების მისაღწევად.

სწავლის შედეგები არის განაცხადი, რა ესმის, რა იცის, რას აცნობიერებას, რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგების გაწერა სასწავლო კურსში ხდება პროფესორ-მასწავლებლის მიერ. სწავლის შედეგები ფასდება პროცედურით, რომელიც ეფუძნება გამჭირვალე კრიტერიუმებს და ეს არის შეფასების სისტემა, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კომპონენტის სილაბუსში არის ასახული.

შეფასების სისტემა ყოველთვის მიემართება სწავლის შედეგებისკენ და სხვადასხვა სახის კრიტერიუმით ზომავს მას, თუ რას მიაღწია სტუდენტმა კონკრეტული კურსის გავლის შედეგად, რა იცის, რისი გაკეთება შეუძლია.

სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტებისგან, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების განვითარება/გაუმჯობესებაზე მუშაობს გუნდი, რომელიც შედგება პროგრამის ხელმძღვანელისგან, სკოლის დეკანისგან, კოორდინატორისგან, რექტორისაგან, პრორექტორისგან პროგრამების განვითარების საკითხებში, პრორექტორისგან სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში, აკადემიური პერსონალის პროფესიული უნარების განვითარების მენეჯერისგან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორისგან და ეს არის უწყვეტი ხასიათის პროცესი. შედეგების ანალიზის შედეგად მოხდა პროგრამის მოდულების შემცირება და თითოეული მოდულის კურიკულუმების დახვეწა, აგრეთვე პრაქტიკის წილის გაზრდა კურიკულუმში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანმანათლებლო პროგრამა ,,აგრარული მეცნიერებანი“ და სილაბუსები, შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა, სამაგისტრო პროგრამების დებულება, თანდართული და უნივერსიტეტში არსებული დოკუმენტები, ვიზიტისას ინტერვიუები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	**შესაბამისობაშია**			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. სამაგისტრო პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა: • საერთო სამაგისტრო გამოცდაზე (A ტიპის ტესტი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა • შიდა საუნივერსიტეტო გასაუბრების წარმატებით გავლა ასევე, შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის წესით ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია პირთა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ყველასთვის. სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შიდა საუნივერსიტეტო გასაუბრება არის საუკეთესო პრაქტიკა აბიტურიენტთა მაგისტრატურის პროგრამაზე ჩარიცხვისათვის, ინტერვიუ დგება კომისიის წინაშე, რომლის წევრებიც არიან დარგის პროფესორები. ინტერვიუს დროს აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს თავისი ხედვა თითოეული მოდულისათვის, ამავე დროს უნდა წარმოადგინოს კვლევის ის თემატიკა, რომელზეც იმუშავებს სწავლის პერიოდში. ამ დროს იკვეთება რამდენად მოტივირებულია ან მიზანმიართულია თითოეული აბიტურიენტი პროგრამაზე სწავლისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანმანათლებლო პროგრამა ,,აგრარული მეცნიერებანი“ და სილაბუსები, სამაგისტრო პროგრამების დებულება, თანდართული და უნივერსიტეტში არსებული დოკუმენტები, ვიზიტისას ინტერვიუები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): შიდა საუნივერსიტეტო გასაუბრება არის საუკეთესო პრაქტიკა აბიტურიენტთა მაგისტრატურის პროგრამაზე ჩარიცხვისათვის, ინტერვიუ დგება კომისიის წინაშე, რომლის წევრებიც არიან დარგის პროფესორები. ინტერვიუს დროს აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს თავისი ხედვა თითოეული მოდულისათვის, ამავე დროს უნდა წარმოადგინოს კვლევის ის თემატიკა, რომელზეც იმუშავებს სწავლის პერიოდში. ამ დროს იკვეთება რამდენად მოტივირებულია ან მიზანმიართულია თითოეული აბიტურიენტი პროგრამაზე სწავლისთვის.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა ,,აგრარული მეცნიერებანი“ შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

საგანმანათლებლო პროგრამა მუშავდება და ვითარდება უნივერსიტეტის აგრარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის ფარგლებში. დგება სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობენ მაგისტრატურის კოორდინატორი და პროგრამის ხელმძღვანელები.

პროგრამის დაგეგმვისას მოხდა შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინება:

- უნივერსიტეტის მისია, რომელშიც გაცხადებულია სწავლების მიზნები
- შრომის ბაზრის მოთხოვნები (ბაზრის კვლევის საფუძველზე)
- უნივერსიტეტის საქმიან გარემოსთან (იგულისხმება დამსაქმებლები, ლოკალური და საერთაშორისო სპეციალური სააკრედიტაციო ასოციაციები და სხვა) კონსულტაციების შედეგად მიღებული ინფორმაცია
- პროგრამის შესაბამისი საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება
- მიზნების, კვალიფიკაციის და სწავლის შედეგების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი მარეგულირებელი დოკუმენტები, როგორც შიდა (სამაგისტრო პროგრამების დებულება), ისე გარე (ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო, პროგრამული აკრტედიტაციის სტანდარტები) დოკუმენტები
- სექტორში არსებული საჭიროებები, კურსდამთავრებულების ტრანსფერული და სპეციალობისგან დამოუკიდებელი უნარები
- კურსდამთავრებულებისგან მიღებული ინფორმაცია მათი პრაქტიკული, პროფესიული გამოცდილების გათვალისწინება
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები
- პროგრამისთვის აუცილებელი რესურსების (ადამიანური და მატერიალური) ხელმისაწვდომობის დონე.

საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზრვრულია: პროგრამის სახელწოდება; მისანიჭებელი კვალიფიკაცია, რომლიც თავსებადია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან; სწავლების მოცულობა ECTS კრედიტებში; სწავლების ენა; პროგრამის მიზანი,

რომელიც თავსებადია უნივერსიტეტის მისიასთან; დასაქმების სფეროები; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; სწავლის შედეგები, კლასიფიცირებული როგორც დუბლინის დესკრიპტორების, ისე ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიხედვით და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოზე რეფერირებით; სწავლებისა და სწავლის მეთოდები; სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა; სასწავლო გეგმა/კურიკულუმი და სემესტრული გეგმა; პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსები. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა აგრარული მეცნიერებანის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. სამაგისტრო პროგრამა შედგება მოდულებისგან, რომლებიც გარკვეული კრიტერიუმის გათვალისწინებით დაჯგუფებულ საგნებს მოიცავს. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს შემდეგ მოდულებს: • აგრარულ მეცნიერებათა საერთო მოდელი (26 კრედიტი) • სპეციალობის სავალდებულო განათლება (45 კრედიტი) • პრაქტიკული განათლება (8კრედიტი) • თავისუფალი არჩევითი საგნები (6 კრედიტი) • სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა (35 კრედიტი) კურიკულუმის სავალდებულო ნაწილია სამაგისტრო ნაშრომი. სამაგისტრო ნაშრომის თემატიკას მაგისტრანტი თავად ირჩევს და ახორციელებს შესაბამის კვლევებს, დამოუკიდებლად ახორციელებს ინდივიდუალურ კვლევით პროექტებს. გარდა ამისა, პროგრამა უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას (თავისუფალი არჩევითი საგნები). აღსანიშნავია, რომ პროგრამის ,,აგრარული მეცნიერებანი“ შემუშავებასა და განვითარებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის: რექტორი, პრორექტორები, პროგრამის ხელმძღვანელები, სამაგისტრო პროგრამების კოორდინატორი, აკადემიური პერსონალი, მოწვეული ლექტორები, აგრარული უნივერსიტეტის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას, რამდენადაც პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანმანათლებლო პროგრამა ,,აგრარული მეცნიერებანი“ და სილაბუსები, სამაგისტრო პროგრამების დებულება, თანდართული და უნივერსიტეტში არსებული დოკუმენტები, ვიზიტისას ინტერვიუები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ამასთანავე, თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა სატყეო საქმის მოდულის ზოგიერთ სასწავლო კურსში ლიტერატურა მოძველებულია.

კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამაში სასწავლო კურსები ლოგიკური თანმიმდევრობითაა განლაგებული, აქ წარმოდგენილია ყველა ის სასწავლო კურსი სრულად, რომლის აუცილებლობას ასაბუთებს დამსაქმებელი. პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სასწავლო

კურსები ორიენტირებულია სასწავლო პროცესის თეორიულ და პრაქტიკული სწავლების სრულყოფილად წარმართვაზე და აგრონომიის, სასურსათო ტექნოლოგიის, სატყეო საქმის მაგისტრების მომზადებაზე. თითოეული სასწავლო კურსისთვის შესაბამისი ლექტორის მიერ შემუშავებულია სილაბუსი. სილაბუსი მოიცავს ყველა ინფორმაციას ამა თუ იმ სასწავლო კურსის შესახებ. დღეის მდგომარეობით აგრარული დარგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებების და მავნებლების ინტენსიური გავრცელების პრობლემის წინაშე დგას, განსაკუთრებით საშიშია მრავალი მავნებლის გავრცელება, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის დარგს, ამ პრობლემის მოგვარება საუკეთესოდ ხდება აგრონომიის მოდულის სასწავლო კურსების საშუალებით, როგორიცაა: მცენარეთა დაცვის ლაბორატორიული მეთოდები და მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა. პროგრამის კურიკულუმის სატყეო საქმის მოდულში წარმოდგენილ სასწავლო კურსში სატყეო პოლიტიკა და კანონმდებლობა მოიცავს ყველა იმ საკითხს, რომლის გადაწყვეტა ხდება სამთავრობო დონეზე, თუმცა მასში არ არის წარმოდგენილი ტყის რეპროდუქციული მასალების საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკა OECD-ის სქემის მიხედვით. სატყეო საქმის და აგრონომიის მოდულში წარმოდგენილ სასწავლო კურსებში- არამერქნითი რესურსები, ტყის დაცვა მავნებელ-დაავადებებისაგან და მცენარეთა დაცვის ლაბორატორიული მეთოდი - ძირითად ლიტარატურაში გამოყენებულია მოძველებული ლიტერატურა, მაშინ, როდესაც დამხმარე ლიტერატურად ახალია მითითებული. საგანმანათელბლო პროგრამის კურიკულუმში არჩევით სასწავლო კურსებად შეტანილია სატყეო საქმის ინტეგრირებული კურსი, რომელიც კურიკულუმის სატყეო საქმის მოდულშია შეტანილი და განკუთვნილია იმ სტუდენტებისათვის, ვისაც არ აქვს დასრულებული სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამა, აგრონომიის ინტეგრირებული კურსი კი შეტანილია აგრონომიის მოდულში და გაკუთვნილია იმ სტუდენტებისათვის, ვისაც არ აქვს აგრონომიის საბაკალავრო პროგრამა დასრულებული, ხოლო ნებისმიერი საგანი სხვა პროგრამიდან წარმოადგენს სასურსათო ტექნოლოგიის მოდულის არჩევით სასწავლო კურსს და ის სტუდენტები ირჩევენ , ვისაც არ აქვს საბაკალავრო პროგრამა, სასურსათო ტექნოლოგია, დასრულებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანმანათლებლო პროგრამა; კურიკულუმი და სემესტრული გეგმა; სასწავლო კურსების სილაბუსები; კომპეტენციების რუკა.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სასწავლო კურსში სატყეო პოლიტიკა და კანონმდებლობა სამომავლოდ გათვალისწინებული იყოს ტყის რეპროდუქციული მასალების საერთაშორისო ვაჭრობის

პრაქტიკა OECD-ის სქემის მიხედვით. სატყეო საქმის და აგრონომიის მოდულში წარმოდგენილ სასწავლო კურსებში- არამერქნითი რესურსები, ტყის დაცვა მავნებელ-დაავადებებისაგან და მცენარეთა დაცვის ლაბორატორიული მეთოდი - მოძველებული ლიტერატურა შეიცვალოს ახალი ლიტერატურით, რომელიც დამხმარე ლიტერატურადაა მითითებული.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პროგრამის კურიკულუმის არჩევით ბლოკში შემდეგი სასწავლო კურსების შეტანა: სატყეო საქმის ინტეგრირებული კურსი, რომელიც კურიკულუმის სატყეო საქმის მოდულშია შეტანილი და განკუთვნილია იმ სტუდენტებისათვის, ვისაც არ აქვს დასრულებული სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამა, აგრონომიის ინტეგრირებული კურსი კი შეტანილია აგრონომიის მოდულში და გაკუთვნილია იმ სტუდენტებისათვის, ვისაც არ აქვს აგრონომიის საბაკალავრო პროგრამა დასრულებული, ხოლო ნებისმიერი საგანი სხვა პროგრამიდან წარმოადგენს სასურსათო ტექნოლოგიის მოდულის არჩევით სასწავლო კურსს და ის სტუდენტები ირჩევენ , ვისაც არ აქვს საბაკალავრო პროგრამა, სასურსათო ტექნოლოგია, დასრულებული.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

აგრარული მეცნიერებანი სწავლის შედეგებიდან გამომდინარე და მათ შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისი პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის:

- პროგრამის სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები;
- არის ცალკე საგანი დარგობრივი პრაქტიკა, რომელიც დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და მორგებულია თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურ კვლევით ინტერესს. დარგობრივი პრაქტიკის უზრუნველსაყოფად საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მემორანდუმები სხვადასხვა დამსაქმებელთან (როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან).
- საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ექცევა ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას (learning-by-doing). სასწავლო ლაბორატორიები ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას ითვალისწინებს, რაც ნიშნავს რომ სტუდენტები ეუფლებიან პროფესიას ლაბორატორიული მეცადინეობისას ინდივიდუალურად მუშაობის გზით. ეს, თავის მხრივ, დადებითად აისახება სტუდენტების სწავლის შედეგებზე. თითოეულ სტუდენტს ლაბორატორიული მუშაობისას თავისი სამუშაო სივრცე და ყველა საჭირო ხელსაწყო აქვს. შესაბამისად, ლაბორატორიული სასწავლოს ჯგუფები კომპლექტდება ამ მოთხოვნის შესაბამისად და ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება 20-ს (სამუშაო ადგილების შესაბამისად).
- სტუდენტებს ლაბორატორიული სამუშაოები უტარდებათ აგრარული უნივერსიტეტის თანამედროვედ აღჭურვილ სხვადასხვა ლაბორატორიაში, მათ შორის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კარგად აღჭურვილ კვლევით ლაბორატორიებში.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისი სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებისათვის:

- პროგრამის ფარგლებში ისწავლება შესაბამისი საგნები (კვლევის მეთოდოლოგია, მონაცემთა ანალიზი, და ა.შ);
- კურიკულუმის სავალდებულო ნაწილია სამაგისტრო ნაშრომის შესრულება, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტები ახორციელებენ დამოუკიდებელ კვლევას. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამები იმით გამოირჩევა სხვა უნივერსიტეტებში არსებული (უმეტესობა) სამაგისტრო პროგრამებისგან, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად ორიენტირებულია მაგისტრანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევითი პროექტის განხორციელებაზე, ხელმძღვანელის და რელევანტური აკადემიური პერსონალის ინსტრუქტაჟით;
- პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური სამეცნიერო პერსონალი, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევენ მაგისტრანტებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას;
- მაგისტრანტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საერთაშორისო და

ადგილობრივი გრანტების ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში;

- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მხარდაჭერით მაგისტრანტებს შესაძლებლობა ეძლევათ სამაგისტრო საგრანტო კონკურსებსა და საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებში მიიღონ მონაწილეობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამა;
სილაბუსები;
მაგისტრანტის დარგობრივი პრაქტიკის ჩატარების წესი და შეფასების ინსტრუქცია;
მემორანდუმები;
ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის

შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, გამოიყენება სწავლების და სწავლის შემდეგი მეთოდები: ვერბალური მეთოდი, დისკუსიები/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, ანალიზი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესორი ან საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირი, უფლებამოსილია იყენებდეს ერთ, რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო-კვლევითი მიზნების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამა,
სილაბუსები,
თანდართული და უნივერსიტეტში არსებული დოკუმენტებით,
ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასების სისტემა ყოველთვის შეესაბამება სწავლის შედეგებს და სხვადასხვა სახის კრიტერიუმით ზომავს მას, თუ რას მიაღწია სტუდენტმა კონკრეტული კურსის გავლის შედეგად, რა იცის, რისი გაკეთება შეუძლია. შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია, ის შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმებისგან. განსაზღვრულია შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის კომპეტენციის მინიმალური ზღვარი. აგრარული მეცნიერებანის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების შეფასების სისტემა პროგრამის სწავლის შედეგებს შეესაბამება და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: • დისკუსიაში მონაწილეობას • სემინარზე მუშაობას • დებატებს • შუალედურ გამოცდებს • საშინაო დავალებებს • ქვიზებს • ლაბორატორიულ სამუშაოებს • პრაქტიკულ სამუშაოებს • პროექტებს • წერით ნაშრომებს • ზეპირ გამოკითხვებს • პრეზენტაციებს • ღია/დახურულ ტესტებს • დასკვნით გამოცდებს • სადიპლომო ნაშრომს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს კრიტერიუმების გამჭირვალობა, შეფასების სისტემაში თითოეული კომპონენტისთვის გაწერილია რუბრიკები და მოცემულია ქულების გრადაცია რუბრიკების მიხედვით. სილაბუსში გაწერილი რუბრიკების და

ქულების გრადაციის საშუალებით სტუდენტი იღებს ინფორმაციას იმის შესახებ თუ მიღწეული ცოდნის დონის შესაბამის როგორ შეფასებს იღებს.
ზოგიერთ სასწავლო კურსში ქულების გრადაცია ხდება დიდი ბიჯით, მაგალითად 12-18, რაც ვერ იძლევა სრულყოფილ განმარტებას რა შემთხვევაში იღებს სტუდენტი 13,14 და ა.შ. ქულებს.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში შუალედური, დასკვნითი და სხვა ტიპის ცოდნის შემოწმების ფორმები ტარდება დახურული ან/და ღია წიგნის პრინციპით. ღია წიგნის პრინციპი ითვალისწინებს ლექტორის მიერ კითხვების იმ ფორმით დასმას, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის ანალიტიკური, კრეატიული აზროვნების შემოწმებას და არ ითვალისწინებს მხოლოდ მასალის დამახსოვრებას და გაგებას, რაც ეხმიანება უნივერსიტეტის მისიას. სტუდენტს შეუძლია საგნის გარშემო ყველა არსებული მასალის გამოყენება, მაგრამ ის პირდაპირ პასუხს ვერ მოიძიებს ვერც სახელმძღვანელოებში, ვერც კონსპტექტებში თუ სხვა სახის ლიტერატურაში. დახურული წიგნის პრინციპით ცოდნის შემოწმება ძირითადად ტესტური ფორმისაა.

შეფასების სისტემის შესახებ ინფორმაცია სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია, როგორც სილაბუსში, ისე გამოცდების ჩატარების წესის, მაგისტრატურის დებულებაში და განთავსებულია ვებ-გვერდზე.

ცოდნის შემოწმების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია ლექტორების მიერ სტუდენტებისთვის უკუკავშირის დაბრუნება. უკუკავშირი გულისხმობს მიღებული შედეგების გაანალიზებას, რეკომენდაციების გაცემას და სტუდენტისთვის ხელშეწყობას უკეთ დაგეგმოს საკუთარი აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედგების მიღწევის გაუმჯობესების გზები.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში წერითი გამოცდები ტარდება საგამოცდო ცენტრში, რომელიც 200 სტუდენტზეა გათვლილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამა;
სასწავლო კურსების სილაბუსები;
მაგისტრანტის დარგობრივი პრაქტიკის ჩატარების წესი და შეფასების ინსტრუქცია; სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ინსტრუქცია; სამაგისტრო პროგრამების დებულება; ვებგვერდი;
გამოცდების ჩატარების წესი;
ვიზიტის დროსჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია ზოგიერთი სასწავლო კურსის შეფასებაში თითოეული რუბრიკების ბიჯი იყოს შემცირებული, რათა უფრო გასაგები და გამჭვირვალე იყოს შეფასება თითოეული სტუდენტისათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**შესაბამისობაშია**			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან

დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას და კონსულტაციას, რომელიც მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ საკითხებს, ისე სოციალურ და სხვა სერვისებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე პასუხისმგებლები არიან სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი და აგრონომიის, სასურსათო ტექნოლოგიის და სატყეო საქმის მიმართულებების ხელმძღვანელები. მაგისტრატურის კოორდინატორი ხელს უწყობს სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების დაგეგმვას, კოორდინირებას და თანამედროვე, სამეცნიერო-კვლევით სივრცეში ინტეგრირებას. სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ ხელშეწყობას მაგისტრანტებისთვის; დაინტერესებული პირებისა და მაგისტრანტების ინფორმირებას საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ; კონსულტაციის გაწევას სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით; და ა.შ. მაგისტრატურის კოორდინატორი და პროგრამის ხელმძღვანელები სტუდენტებს მუდმივად აწვდიან ინფორმაციას: • შიდა და გარე გრანტებთან დაკავშირებული კონკურსებისა და კონფერენციების თაობაზე. სტუდენტებს თავად აქვთ საშუალება ჩაერთონ მსგავს ღონისძიებებში. • აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ, რაც სტუდენტებს ეხმარება სამაგისტრო თემის შერჩევასა და განხორციელებაში. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ყოველთვის შეუძლიათ დაუკავშირდნენ როგორც მაგისტრატურის კოორდინატორს, ისე პროგრამის ხელმძღვანელებს. გარდა ამისა, სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და სტუდენტთა განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული თუ მოწვეული პერსონალი ვალდებულია სტუდენტს ინდივიდუალურად გაუწიოს კონსულტაცია საჭიროებისამებრ. სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვათა, რომ სტუდენტების კანონიერი უფლებების მხარდაჭერა ინსტიტუციონალიზებულად არის გარანტირებული სტუდენტების დეკანის არსებობით. სტუდენტებსა და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახურს ხელმძღვანელობს სტუდენტების დეკანი, რომელიც არის მთავარი საკონტაქტო პირი სტუდენტისთვის ნებისმიერი პრობლემის თუ გაურკვევლობის შემთხვევაში. დეკანი ერთგვარი შუამავალი, დამაკავშირებელი რგოლია სტუდენტებსა და უნივერსიტეტის აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ მენეჯმენტს შორის და აჟღერებს სტუდენტთა პრობლემებსა და გამოწვევებს. სტუდენტებსა და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახურის სტრუქტურაში შედის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ოფისი, რომლის მთავარი ფუნქციაც საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერულ განვითარებაზე ზრუნვაა. დასაქმების ოფისს ხელმღვანელობს დასაქმების მენეჯერი, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში ურთიერთობს, ერთი მხრივ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, და, მეორე მხრივ, დამსაქმებლებთან. კარიერული

განვითარების მდგრადობის ამოცანის მისაღწევად დასაქმების ოფისი მიმართავს სხვადასხვა მეთოდს: • მიმდინარე ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. • დასაქმების ფორუმის ორგანიზება და ინფორმირება სხვადასხვა კონკურსის, სტაჟირების და პროექტის შესახებ - დასაქმების ოფისი რეგულარულად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას ცალკეული ორგანიზაციების კონკურსების შესახებ, რომლებშიც მონაწილეებს, წარმატების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის სარგებელი მოელით. სტუდენტების დეკანი აწვდის ინფორმაციას სტუდენტებს გაცვლითი პროგრამების და საერთაშორისო პროექტების შესახებ. სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტები სათანადო დონეზე იღებენ ამ ინფორმაციას და მათ შორის ორი სტუდენტი იმყოფებოდა გაცვლითი პროექტის ფარგლებში გერმანიასა და სამხრეთ აფრიკაში. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ყოველთვის შეუძლიათ დაუკავშირდნენ როგორც სტუდენტების დეკანს, ისე დასაქმების მენეჯერს. მათი საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (http://agruni.edu.ge/ge/node/944).
მტკიცებულებები/ინდიკატორები უნივერსიტეტში არსებული სხვადასხვა დოკუმენტაცია; ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციასა და დამსაქმებელთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,აგრარული მეცნიერებანი" განხორციელებაში ჩართული პერსონალი შედგება დარგში გამორჩეული კვალიფიკაციის მქონე პროფესორების, მკვლევარებისა და მეცნიერებისაგან.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას ხელმძღვანელობს თემატიკის შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტი/სპეციალისტები. თითოეულ მაგისტრანტს სამაგისტრო თემაზე მუშაობისას შეირჩევა ინდივიდუალური ხელმძღვანელი.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის შერჩევა ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად.

ნაშრომის ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს, უწევს კონსულტაციას, გამოთქვამს შენიშვნებს და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში ეხმარება ავტორს მათ კორექტირებაში.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობს 22 სპეცილობის მიმართულების პროფესორი, გარდა აღნიშნული აკადემიური პერსონალისა აგრეთვე პროგრამაზე მოწვეული ყავთ კადრი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობისათვის. შესაბამისად თითოეულ პედაგოგს ორზე მეტი მაგისტრის ხელმძღვანელობა არ უწევს. სამაგისტრო თემები მეტად მნიშვნელოვანია და მიმართულია დაგრში პრობლემების მოგვარებისაკენ. დაცულ სამაგისტრო ნაშრომებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობის გახლდათ მითანას საწარმოსათვის ახალი ძეხვის დამზადების მეთოდიკით შემუშავება და ვაშლის ,,ჩიფსების" დამზადების ტექნოლოგიის შემუშავება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

პერსონალის პირადი საქმეები
ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან და სამაგისტრო თემის ხელმძღვანელებთან;;
სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესისა და შეფასების ინსტრუქცია;
სამაგისტრო პროგრამების დებულება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**შესაბამისობაშია**			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,აგრარული მეცნიერებანი“ განხორციელებაში ჩართულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. მათ აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული ყველა ფუნქციის ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. უნივერსიტეტი პერიოდულად აფასებს აკადემიურ პერსონალს და გეგმავს მათ პროფესიული განვითარების ღონისძიებებს.

აკადემიური პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში:

- 11 პროფესორი
- 10 ასოცირებული პროფესორი
- 2 ასისტენტ პროფესორი

თითოეული მოდული დაკმაყოფილებულია სათანადო დონის აკადემიური პერსონალით, სატყეო საქმის მოდულზე დასაქმებულია ოთხი აკადემიური პერსონალი, აგრონომიის მოდულზე ექვსი აკადემიური პერსონალი, ხოლო სასურსათო ტექნოლოგიის მოდულზე-12 აკადემიური პერსონალი.

რაც შეეხება სამეცნიერო პერსონალს, მათი რაოდენობაც ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში და შეადგენს 24 მეცნიერს.

ამასთანავე, პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდა არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სამაგისტრო საგანმანათელბლო პროგრამის ,,აგრარული ტექნოლოგიები“ ძირითად და მოწვეულ პროფესორებს შორის წარმოდგენილნი არიან კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერებიც, რომლებიც ეწევიან როგორც პედაგოგიურ მოღვაწეობას, ასევე სტუდენტები

ჩართული ყავთ კვლევით პროექტებში, რომლებსაც ისინი ახორციელებენ კვლევით ინსტიტიტებში.

აგრარული მეცნიერებანის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის ჩართულია სულ 31 პერსონალი, მათ შორის 24 არის აკადემიური პერსონალი, ხოლო 7 მოწვეული პერსონალი. თანაფარდობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის არის 3:1, აკადემიური პერსონალიდან 23 აფილირებული პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორია. წარმოდგენილი აკადემიური პერსონალიდან 22 მაპროფილებელი საგნების განმახორციელებელია.

სტუდენტებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა ადმინისტრაციის როლი სტუდენტთა კარიერული წინსვლის, მათი პრაქტიკული უნარების განითარების ხელშეწყობისა და სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

პერსონალის პირადი საქმეები;
ინტერვიუ პერსონალთან;
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა;
უნივერსიტეტში არსებული სხვა დოკუმენტები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში რეგულარულად მიმდინარეობს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება და შესაბამისი შედეგების ანალიზი. ამასთანავე, უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესეულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტები მუდმივად ახდენენ პროფესორ-მასწავლებელთა შეფასებას შესაბამისი კითხვარების საშუალებით, ასევე რეგულარულად ხდება პროგრამების შეფასება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების საშუალებით, მიღებული შედეგები მუშავდება და მიიღება შესაბამისი ღონისძიებები. პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ნათელი გახდა ადმინისტრაციის ხელშეწყობის ღონისძიებები, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: სამეცნიერო-კვლევითი გარემოს შექმნა, კვლევების დაფინანსება, სამეცნიერო, რეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების ხელშეწყობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუ;
პერსონალის პირადი საქმეები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აგრარული მეცნიერებანის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსში, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით, ქიმიის, მიკრობიოლოგიის, გენეტიკის, ნიადაგთმცოდნეობის, ბიოტექნოლოგიის, ლაბორატორიებით და ბიბლიოთეკით. უნივერსიტეტში მოთავსებულია აგრეთვე ,,გენბანკი“, რომელშიც ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლები ინახება სათანადო პირობებში. კამპუსში შექმნილია ყველა პირობა სტუდენტებისა და პერსონალისთვის იმ მიზნით, რომ სტუდენტმა მიიღოს ხარისხიანი განათლება.

დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ აგრარულ უნივერსიტეტს აქვს ყველა მატერიალური რესურსი, რათა მოამზადოს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ბაზარზე მოთხოვნადი აგრარული დარგის სპეციალისტი. სტუდენტებს შეუძლიათ ლაბორატორიული სამუშაოები ჩაატარონ აგრონომიის, სასურსათო ტექნოლოგიის და სატყეო საქმის მოდულში წარმოდგენილი საწავლო კურსების მიხედვით. სტუდენტს აქვს საშუალება გაიაროს პრაქტიკა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე და მის გარეთ, იმუშაოს კვლევებზე და ჩაატაროს დამოუკიდებლად ლაბორატორიული სამუშაოები თანამედროვე აპარატურით აღჭურვილ ლაბორატორიებში.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია თანამედროვე, ელექტრონული ბაზებით უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკით, სადაც სტუდენტს შეუძლია

მოიძიოს მისთვის საჭირო ნებისმიერი სამეცნიერო ლიტერატურა. სტუდენტებს აქვთ აგრეთვე მატერიალური რესურსი დასვენებისა და გართობისათვის, სხვადასხვა გასართობი ღონისძიებების ჩატარებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები დასტურდება ბაზების ადგილზე დათვალიერებით; შესყიდვის დოკუმენტაციით; ინტერვიუებით ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო პროგრამებს დამოუკიდებელი ბიუჯეტები არ გააჩნიათ, შესაბამისად დამოუკიდებელი ბიუჯეტი არც წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამას არ გააჩვნია.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ფინანსური მოდელი აერთიანებს ყველა პროგრამისა და ადმინისტრაციული ერთეულის ბიუჯეტს.

წარმოგიდგენთ აგრარული უნივერსიტეტის სრულ ფინანსურ მიმოხილვას, რომელიც ასევე მოიცავს აგრარული მეცნიერებანის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ ნაწილს და ადასტურებს, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ბაკალავრის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტების სწავლის გადასახადისგან შემოსული თანხა (სრული შემოსავლების 45,7%).

თავის მხრივ, სტუდენტების სწავლის გადასახადი შედგება შემდეგი ძირითადი წყაროებისაგან (1 %-ის სიზუსტით):

- სტუდენტების გადახდები 59%
- სახელმწიფო სასწავლო გრანტი 38%
- სოციალური გრანტი 3%
- სხვა დაფინანსება 0%

გარდა სტუდენტების სწავლების შემოსავლისა, აგრარულ უნივერსიტეტს ასევე გააჩნია გრანტები სამეცნიერო პროექტების დასაფინანსებლად (სრული შემოსავლების 23,1%), საერთაშორისო გრანტები კონკრეტული პროექტების დასაფინანსებლად (სრული შემოსავლების 5,2%), ცოდნის ფონდის პირდაპირი დაფინანსება სასწავლო-სამეცნიერო მიზნებისთვის (სრული შემოსავლების 7,9%) და შემოსავლები სხვა სასწავლო-პრაქტიკული და ლაბორატორიული საქმიანობიდან (სრული შემოსავლების 18,1%).

აგრარული უნივერსიტეტი წარმოადგენს გრძელვადიანად ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ბიუჯეტი (ფინანსური რესურსის უზრუნველყოფის შესახებ დოკუმენტი);
ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**შესაბამისობაშია**			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აგრარული მეცნიერებანის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. თანამშრომლობა მოიცავს პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვას, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას.

პროგრამის გაუმჯობესების მუდმივი პროცესი შეიძლება იქნეს აღწერილი, როგორც მოქმედების მუდმივი ციკლი: `დაგეგმე – გააკეთე – შეამოწმე – იმოქმედე.

ამგვარი სისტემური მიდგომა იძლევა ხარისხის კონტროლის, უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების გარანტიას. სწორედ ამ მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ხარისხის უზრუნველყოფა განიხილება, როგორც სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მუდმივი პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს გაუმჯობესების აქტივობებს მკაფიოდ განსაზღვრულ გარემოში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შიდა შეფასებებს სულ მცირე წელიწადში ორჯერ. წელიწადში ერთხელ ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვები მათი კმაყოფილებისა და საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის შესახებ. შიდა შეფასებით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე არკვევს თუ როგორია სტუდენტთა ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დონეზე, რამდენად შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები სტანდარტებთან მიმართებაში, ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას და პროგრამის დასახულ მიზნებთან და სწავლის შედეგებთან მიღწევადობას.

უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის არსებული მექანიზმიდან გამომდინარე ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები პერიოდულად განიცდის შემოწმებას და ცვლილებებს. მიღებული სტანდარტების საფუძველზე სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად ხდება პროგრამების პერმანენტული ცვლილებები თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან;
პროგრამის შეფასების ანალიზი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აგრარული მეცნიერებანი განხორციელების დროს გამოიყენება გარე შეფასების შედეგები, რომელიც მიიღწევა ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცედურების ფარგლებში. პროგრამაში გათვალისწინებულია ყველა ღირებული რეკომენდაცია და რჩევა. პროგრამის გარე შეფასებაში ჩართულია აგრეთვე დამსაქმებელი, რომელიც კითხვარების საშუალებით აფიქსირებს თავის შეხედულებას პროგრამის განვითარებაზე.

კერძოდ; პროგრამის ხუთი მოდული შემცირდა სამამდე, კურიკულუმს დაემატა სასწავლო კურსები: ნიადაგის ნაყოფიერების მართვა, მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა, მცენარეთა საკარანტინო მავნებლების მართვა, კვება და საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სატყეო პოლიტიკა და კანონმდებლობა, სატყეო საქმის ინტეგრირებული კურსი, ინტროდუცირებულ მერქნიან მცენარეთა დენდროლოგია, ტყეების მონიტორინგი და ექსპერტიზა, ტყის ინვერტარიზაცია და მონაცემთა ანალიზი, ტყის დაცვა მავნებელ-დაავადებებისგან, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გადამუშავების ტექნოლოგია, კვების წარმოების ორგანიზება, ცხოველური წარმოშობის ნედლეულისა და პროდუქციის დამუშავება და შეფასება, კვების პროდუქტების ხარიხის კონტროლის მიკრობიოლოგიური მეთოდები. პროგრამის გარე შეფასებას ახდენს აგრეთვე

დამსაქმებელი, რომელიც აქტიურად არის ჩართული პროგრამის განვითარებისათვის დაგეგმილ სამუშაოების განხორციელების პროცესში. დამსაქმებელთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა მათი ჩართულობა პროგრამის გარე შეფასებასა და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმის შემუშავებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ინტერვიუ დამსაქმებელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან და პროგრამის ხელმძრვანელთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის

მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით ტარდება პროგრამის სტუდენტების (კმაყოფილების ანალიზი), პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და პოტენციური დამსაქმებლის გამოკითხვები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, რასაც მოსდევს შედეგების საერთო ანალიზი და შესაძლო დასკვნები/რეკომენდაციები პროგრამების და/ან ცალკეული კურსების განვითარებისათვის. აგრარული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება პროგრამის შეფასება მრავალი კომპონენტის მიხედვით. ყოველი წლის ბოლოს ხდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი. მუდმივად ხორციელდება ბაზრის მოთხოვნათა კვლევა, დამსაქმებლებთან შეხვედრებისა და უკუკავშირის ყურადღებით შესწავლა და პროგრამებში შესაძლო ასახვა. უნივერსიტეტს აქვს მუდმივი და განახლებადი კავშირები და კონსულტაციები პროფესიულ ასოციაციებთან. ყოველივე ამის გათვალისწინებით, აგრარული უნივერსიტეტი ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვას, შემუშავებას, განხორციელებას, არსებულის განვითარებას/მოდიფიცირებას; საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებითა და გაზიარებით ახდენს პროგრამებში სხვადასხვა კომპონენტების სრულყოფას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ინტერვიუ დამსაქმებელთან, კურსდამთავრებულთან, ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელტან, აკადემიურ და დამხმარე პერსონალთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: აგარაული მეცნიერებანი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მანანა კევლიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მერაბ მაჭავარიანი

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო დეკანოიძე